
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდიში 2009 წლის
11 ნოემბერს გამართული საჯარო დისკუსია
თემაზე:

„საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან
დაკავშირებული ფაქტების დამდგენი
დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში“

ძირითადი მომხსენებლები:

თემურ იაკობაშვილი – სახელმწიფო მინისტრი
რეინტეგრაციის საკითხებში
პაატა ზაქარეიშვილი – კონფლიქტოლოგი/
რესპუბლიკური პარტია
თორნიკე შარაშენიძე – საზოგადოებრივ საქმეთა
ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების
პროგრამის ხელმძღვანელი

მოდერატორი: გოგი გვახარია

ირის კემპე, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს დირექტორი – დღეს ვისაუბრებთ დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიშზე. ეს ანგარიში არ ეძღვნება იმას, თუ ვინ დაიწყო ომი, ვინ გაისროლა პირველად. ის გაცილებით უფრო ფართო და მოცულობითია და მოიცავს მთელ იმ რეალობას, რაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოსდევს ამ ქვეყნებს. ვთვლით, რომ ანგარიშის განხილვა ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა და ამ მიზნით მოვიწვიეთ ჩვენთან როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ისე სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლები. მიმაჩნია, რომ საქართველოს ფართო საზოგადოება კარგად უნდა იცნობდეს ამ დოკუმენტის შინაარსს. ამ მიზნით მოვამზადეთ [ანალიტიკური დაიჯესტი](#). გარდა ამისა, ვთარგმნეთ ჰაიდი ტალიავინის [ანგარიშის პირველი თავი](#), შესავალი ნაწილი.

გოგი გვანარია – აფხაზეთის და კონფლიქტების თემა ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, მაგრამ ამდენი ხალხი დარბაზში არასდროს მინახავს. ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე კონფლიქტების თემაზე ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში გამართულ დისკუსიაში ასევე მონაწილეობდნენ ბატონები პაატა ზაქარეიშვილი და თემურ იაკობაშვილი. როგორც მახსოვს, მაშინ ბატონი თემურის გამოსვლა ძალიან ოპტიმისტური იყო, არ ვიცი რამდენად ოპტიმისტური იქნება იგი დღეს. კარგი იქნებოდა დღევანდელი გამოსვლის შედარება ძველ გამოსვლასთან იმის გასაგებად, რა გამართლდა და რა არ გამართლდა ბატონი თემურის სიტყვებიდან.

კომისიის მიზანი მართლაც, არ ყოფილა იმის გარკვევა, რომელმა მხარემ გაისროლა პირველად და ვინ დაიწყო ომი, თუმცა, შეგახსენებთ, რომ ამ დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ დასავლურმა პრესამ სწორედ ამ თემაზე გააკეთა აქცენტი და იბეჭდებოდა კიდევ სტატიები სათაურით, „ვინ დაიწყო ომი“. ასე რომ, არ ვიცი, დღეს მოვახერხებთ თუ არა იმას, რომ არ ვიმსჯელოთ ამაზე, და უფრო მეტი ყურადღება გავამახვილოთ სხვა საკითხებზე. ვნახოთ, რას შემოგვთავაზებენ ჩვენი მომხსენებლები. სიტყვას ბატონ თემურ იაკობაშვილს გადავცემ.

თემურ იაკობაშვილი – თავიდან იმაზე გავამახვილებ ყურადღებას, რატომ იყო საჭირო ამ კომისიის შექმნა. იდეა, რომ შექმნილიყო საერთაშორისო საგამომიებო მისია, ჩვენგან მოდიოდა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა მიმართა თხოვნით ქალბატონ მერკელს. ჩვენ დაგვაფიქრა უკვე ომის წინა პერიოდში რუსეთში გააქტიურებულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ. ძალიან ბევრ ადგილას ვაწყდებოდით ომის წინა სამზადის რიტორიკას. ვისაც შეხება ჰქონია რუსეთის სამხედრო მანქანასთან, ყველამ კარგად იცის, რომ ისინი პირდაპირ არ იწყებენ სროლას. მას წინ უძღვის საინფორმაციო მომზადება, საინფორმაციო ფონის შექმნა, რომლითაც შემდეგ სამხედრო ქმედებები უნდა იქნეს გამართლებული. როდესაც ეს პროპაგანდისტული ელემენტები შევამჩნიეთ, მაშინვე გამოვთქვით წუხილი, თავიდანვე ცნობილი იყო, რომ რუსეთი შეეცდებოდა ყველაფრის სხვა ჭრილში გადატანას, იმას, რომ დისკუსია ყოფილიყო არა იმაზე, თუ რა ჩაიდინეს მათ, არამედ იმაზე, თუ ვინ გაისროლა პირველად.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ საინფორმაციო ომში გველოდა დამოუკიდებელი არბიტრი, მესამე მხარე, რომელთანაც ითანამშრომლებდნენ მხარეები და მიაწოდებდნენ ინფორმაციას. ჩვენდა საბედნიეროდ, ასეთი კომისია შეიქმნა. მაგრამ, საუბედუროდ, ამ კომისიაში აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც იქ არ უნდა ყოფილიყვნენ. ეს საგანგაშო სიგნალი იყო იმ თვალსაზრისით, რომ კომისიაზე აშკარად ხდებოდა ზეწოლა. ზეწოლა ბევრნაირი იყო. ჩვენ საქსპერტო მოსაზრებებს არ ვერჩით, მაგრამ როდესაც კომისიაში ხვდება ხალხი, რომელსაც თავიდანვე აქვს დაფიქსირებული თავისი პოზიცია ამ ომთან დაკავშირებით, არა

აქვს მნიშვნელობა, ანტიქართული თუ პროქართული, ყველა შემთხვევაში, თუ ეს არის დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისია, შერჩეულები უნდა ყოფილიყვნენ დამოუკიდებელი ექსპერტები. ამაზე ხმამაღლაც ვაცხადებდით, თუმცა მთავრობაში ბევრი მაკრიტიკებდა ამის გამო. მიმაჩნდა, რომ სწორი იქნებოდა, ეს მაშინვე გვეთქვა, რომ მერე არ ესაყვედურათ ჩვენთვის.. თავიდანვე დავაფიქსირეთ ჩვენი პოზიცია კომისიის სამი წევრის შესახებ, რომელთა ყოფნაც, ჩვენი აზრით, არ შეესაბამებოდა იმ სულისკვეთებას, რა მიზნითაც შეიქმნა ეს კომისია. ერთ-ერთი მათგანი მოგვიანებით გაუშვეს კიდევ კომისიიდან. ძალიან დიდი მცდელობა იყო, რომ გავლენა მოეხდინათ კომისიის საქმიანობაზე.

თავიდანვე არათანაბარ პირობებში ვიყავით.რუსეთი საკმაოდ ორგანიზებული და ძლიერი ქვეყანაა, მას აქვს ბევრი ინსტიტუცია, რომელსაც შეუძლია მოემსახუროს ასეთი ტიპის კომისიისთვის მასალების მიწოდებას, გაცილებით უფრო ორგანიზებულად, ვიდრე ისეთი პატარა ქვეყანას, როგორც საქართველოა. რუსეთს, როგორც მინიმუმ, ჰყავს შვიდი საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართალში კარგად განსწავლული ინსტიტუტი, და ა.შ. ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, შეუდარებელი იყო ჩვენი და მათი საშუალებები, მაგრამ ჩვენ გვაძოძრავებდა ის, რომ სიმართლე ჩვენს მხარეს იყო. როგორ ძლიერ ინსტიტუტებსაც არ უნდა ფლობდეს რუსეთი და რამხელა თანხაც არ უნდა დაეხარჯა საერთაშორისო მედიაში ფონის შესაქმნელად, სიმართლე მაინც ჩვენს მხარეს რჩებოდა. ამიტომ, ჩვენც დავიწყეთ მასალების მოძიება. ამ პროცესში, რა თქმა უნდა, ბევრი ახალი ფაქტი ამოტივტივდა. პარალელურად გაჩნდა პროპაგანდის შედეგებიც. ალბათ გინახავთ ფილმი „08.08.08“, კიდევ სხვა ფილმი, რომელიც აფხაზეთში გადაიღეს. ამას დაემატა ვიღაც ცხოვრებოვების ვიზიტები ამერიკაში, ევროკავშირში კიდევ ვიღაცების ჩაყვანა და ა.შ. რუსეთმა ძალიან სერიოზულად დაიწყო საინფორმაციო სივრცეში მოძრაობა.

გადავწყვიტეთ, რომ ყველაზე სწორი სტრატეგია იქნებოდა, ტალიავინის კომისიისთვის მიგვეწოდებინა მაქსიმალური ინფორმაცია და დავლოდებოდით დასკვნებს. იმისთვის, რუსეთს რომ საინფორმაციო ომში ავყლოდით, არც სახსრები და არც ადამიანური რესურსები არ გავგაჩნდა. თუ რუსეთს ვერ ეჭვიდავები საერთაშორისო ფრონტზე მედია-ომში, მაშინ სიმართლის დამტკიცება სხვა მეთოდებით უნდა სცადო. ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მექანიზმი კი ამ თვალსაზრისით სწორედ ეს კომისია იყო. წლებზე ფეხს ვიდგამდით იმისთვის, რომ კომისიისთვის ამომწურავი ინფორმაცია და მასალა მიგვეწოდებინა, რათა დასკვნა სამართლიანი ყოფილიყო.

დასკვნის გამოქვეყნება რამდენჯერმე გადაიდო. ჩემთვის უცნობია, ეს ტექნიკური მიზეზით მოხდა თუ პოლიტიკურით, ბოლოს გამოქვეყნდა. სამწუხაროდ, ჩვენ წავაგეთ ბრძოლა, როგორც აქ იყო აღნიშნული, სათაურებისათვის. ჟურნალისტიკის ძალიან მარტივი პრინციპია, ძალიან რომ უკბენს ადამიანს, ეს არ არის ნიუსი, თუ ადამიანი უკბენს ძალს, ეს უკვე ძალიან საინტერესოა. ამ პრინციპიდან გამომდინარე, რუსებმა შეძლეს დისკუსიის იმაზე გადატანა, თუ ვინ დაიწყო ომი. და როდესაც ტალიავინის კომისიის დასკვნა იღებოდა, მთელი აქცენტი გადატანილი იყო სწორედ ამაზე. ჟურნალისტების ძირითადმა ნაწილმაც საკითხი სწორედ ამ კუთხით გააშუქა, თუმცა, იყო გამონაკლისებიც. ძალიან ცუდად და უსამართლოდ მოიქცა ომის დროს BBC, რომელიც შვიდი კვირის განმავლობაში ერთსა და იმავე ტყუილს ატრიალებდა. ჩვენ შეგვიძლია იმის დამტკიცება, რომ ეს ტყუილი იყო. ამ სიტუაციაში ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ კომისიის დასკვნაში, რომელსაც ყველანი შეგვიძლიათ გაეცნოთ, არსად წერია, რომ საქართველომ დაიწყო ომი. სამივე არგუმენტი, რომელიც რუსეთს ჰქონდა წამოყენებული ომის დაწყების არგუმენტად, კომისიის მიერ უარყოფილ იქნა. მათ ღიად თქვეს, რომ ცხინვალის რეგიონში არ ყოფილა ოსების გენოციდი, პირიქით, წერია, რომ ადგილი ჰქონდა ეთნოწმენდას ქართველების მიმართ. სერიოზული ადგილი ეთმობა პასპორტიზაციას და ე.წ. მოქალაქეობის ღარივებს ამ რეგიონში, ეს უკანონო ქმედება იყო, შესაბამისად,

რუსების არგუმენტები, რომ ისინი თავიანთ მოქალაქეებს იცავდნენ, ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონმდებლობას. კომისიის დაკვნაში წერია, რომ არ მტკიცდება ქართველების მხრიდან რუსი სამშვიდობოების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები. უფრო მეტიც, წერია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ასე იქნებოდა, რუსეთის პასუხი მაინც აშკარად არაადეკვატური იყო. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, მთავარია, რატომ დაიწყო რუსეთმა ომი. სამივე მიზეზი, რომელზეც ის მიუთითებდა, კომისიის დასკვნაში უარყოფილია. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იმიტომ კი არ არის, რომ ვიღაც ამას წიგნი მიუძღვნას, არამედ სამომავლოდ, დოკუმენტაციის თვალსაზრისით.

დასკვნაში ხაზგასმულია, რომ ის, რაც მოხდა 7 აგვისტოს ღამეს და 8 აგვისტოს დღიას, არ ყოფილა ცალკე აღებული მოვლენა და კულმინაცია იყო იმ მოვლენებისა, რომლებიც ვითარდებოდა მანამდე. დასკვნაში ცალსახად წერია, რომ 7 აგვისტომდე ცხინვალის რეგიონში იმყოფებოდა რუსეთის შეიარაღებული ძალების სხვა შენაერთები გარდა მშვიდობისმყოფელებისა, იმყოფებოდნენ „ბოვეიკები“, რომლებიც შემოვიდნენ როკის გვირაბის გავლით, და რომ რუსეთის ფედერაცია წლების განმავლობაში აიარალებდა და წვრთნიდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ძალოვან სტრუქტურებს, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა სამშვიდობოების მანდატთან და როცა იქ, ჩვენი აზრით, შეცდომით წერია, რომ სამშვიდობოები თავიანთ ფუნქციას ასრულებდნენ, სამშვიდობოების მანდატის მიხედვით ეს არ უნდა მომხდარიყო. იქ არ უნდა ყოფილიყო ზედმეტი შეიარაღება, ზედმეტი შეიარაღებულ ადამიანი, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, როდესაც ერთადერთი ადგილი, საიდანაც შესაძლებელი იყო ამ ყველაფრის შემოსვლა, როკის გვირაბი იყო, რომლის გაკონტროლებაც ძალიან მარტივია.

ის არგუმენტი, რომლითაც დადნაშაულებული საქართველო, სასაცილოა. ნებისმიერი საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც ამ საკითხში ჩახედულია, გეტყვით, რომ ეს სისულელეა. ძალიან გაუგებარი ენით წერია, რომ საქართველოს მხრიდან შეტევა საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევა იყო. ლაპარაკია სოჭის, დაგომისის ხელშეკრულებაზე, რომელიც მანამდე რუსეთმა დაარღვია. მე მხოლოდ რამდენიმე მომენტზე შევაჩერე თქვენი ყურადღება. დოკუმენტში ცალსახად წერია, რომ ის, რაც კოდორის ხეობაში მოხდა, იყო აშკარა პროვოკაცია და დანაშაული. არანაირი მიზეზი და წინაპირობა, იმისთვის, რომ კოდორის ხეობაში მომხდარიყო რუსეთის ან ე.წ. აფხაზი სეპარატისტების შეიარაღებული ძალების შემოჭრა, არ ყოფილა.

ზოგადად, დასკვნა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ მიუხედავად მისი ინტერპრეტაციის მცდელობებისა, ის საკითხებზე, რომლებზეც გესაუბრეთ, ამ დოკუმენტში ცალსახადაა დადასტურებული. აქ მოყვანილ ფაქტებს თითქმის 100%-ით ვეთანხმებით. დასკვნების 90%-ს ვეთანხმებით, თუმცა არის დეტალები, რომლებზეც უკვე გესაუბრეთ და მათ ვერ გავიზიარებთ, რადგანაც აშკარად ეწინააღმდეგება მოყვანილ ფაქტებს. ვერც იმ ფაქტს დავეთანხმებით, რომ საქართველომ დაარღვია სოჭის ხელშეკრულება, მანამდე ეს ხელშეკრულება რუსეთს ჰქონდა დარღვეული. აქვე მინდა გითხრათ, რომ 7 აგვისტოს უკვე გვყავდა დაღუპული და დაჭრილი ქართველი სამშვიდობოები. ჩემი აზრით, რაც ყველაზე მთავარია დოკუმენტში, ის არის, და ამაზე ქალბატონმა ჰაიდი ტალიავინმაც დაწერა სტატია, რომ ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა დასავლეთის მხრიდან უფრო აქტიური ჩარევის შემთხვევაში. არაერთხელ მითქვამს, რომ მთელი 2008 წლის პირველი ნახევარი ძალიან აქტიურად ვცდილობდით ამ ომის თავიდან აცილებას საერთაშორისო ჩართულობის გაზრდითა და დიპლომატიით, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ. იმიტომ არა, რომ აქტიურები არ ვყოფილვართ, იმის გამო, რომ დასავლეთში არ ყოფილა საამისო მზაობა. ჩვენთვის ძალიან მძიმე იყო იმის ცქერა, რომ ოკუპანტი დაიარებოდა ბერლინში და მას ესაღმებოდნენ. ზუსტად ის ხალხი, რომელმაც ბერლინის კედელი ააშენა, ორგანიზაცია, რომელმაც ეს კედელი ააშენა, დღეს მართავს რუსეთს, და ზუსტად იგივე მეთოდებს იყენებს საქართველოს წინააღმდეგ. იმავე ჩამხშობებით ხდება ჩვენი ტელეარხების და

რადიოსიგნალების ჩახშობა, იგივე კვბ-ს ჯარები ჩაგვიყენეს ადმინისტრაციულ საზღვარზე, იგივე კვბ-ს მეთოდებით ხდება საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა სხვადასხვა ფრონტზე. აქ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ წინა შეხვედრის დროს მე უფრო ოპტიმისტი ვიყავი, მე ახლაც ოპტიმისტი ვარ. როცა ბერლინის კედელი იყო აღმართული, 400 ათასი ოკუპანტი იყო განლაგებული აღმოსავლეთ გერმანიაში, დღეს იქ ჩავიდა მხოლოდ ერთი, ისიც ვიზიტით. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოდანაც ადრე თუ გვიან ეს საოკუპაციო ჯარები გავლენ. კიდევ ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, ის არის, რომ ეს იყო ომი საქართველოსა და რუსეთს შორის. ის ვინც კარგად წაიკითხავს დოკუმენტს, მიხვდება, რომ კონფლიქტი ყოველთვის იყო საქართველოსა და რუსეთს შორის, სადაც რუსეთი იყენებდა სეპარატისტებსა და სეპარატიზმს, როგორც ინსტრუმენტს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ.

გოგი გვახარია – დიდი მადლობა. საინტერესოა, თუ არის დარბაზში ადამიანი, ვისაც ეს 900 გვერდიანი დოკუმენტი მთლიანად აქვს წაკითხული.

თემურ იაკობაშვილი – მეტია. მე წაკითხული მაქვს.

გოგი გვახარია – როგორც ვხვდები, ეს დასკვნა ათასნაირ ინტერპრეტაციას ექვემდებარება, იძლევა იმის საშუალებას, როგორც გინდა, გაიგო. ჩვენ იმის დრო არ გვაქვს, ყველა თქვენგანის ინტერპრეტაცია მოვისმინოთ, მაგრამ ახლა ბატონ პაატა ზაქარაიშვილს მოვუსმინოთ.

პაატა ზაქარაიშვილი – დიდი მადლობა მოწვევისთვის. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი საღამოა. ვფიქრობ, რომ ამ თემაზე მომავალშიც უნდა იმართებოდეს დისკუსიები. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი რამდენიმე თვის წინ გამოქვეყნდა, რადგან ისე კარგად არ ვფლობ ინგლისურს, რომ ვენდო საკუთარ ცოდნას, ჯერჯერობით არ წამიკითხავს ის ისე, როგორც საჭიროა. Vლოდები, როდის ითარგმნება ის კვალიფიციურად, რომ კარგად გავეცნო.

რადგან ენის საკითხზე ჩამოვარდა საუბარი, არ შეიძლება არ ითქვას, უცნაურობას იჩენს ქართული მხარე ამ დოკუმენტის მიმართ დამოკიდებულებაში. დასკვნის პირველი ტომი ჰაინრიხ ბიოლის ფონდის მიერ ითარგმნა და გავეცანი მას. სულ სამი ტომია, მეორე და მესამე ჯერ არ არის თარგმნილი. მესამე ტომში არ არის კომისიის დასკვნები და კომისიის წევრთა მოსაზრებები. ის კონფლიქტური მხარეების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და კონფლიქტის მიმდინარეობის შესახებ მათ მოსაზრებებს შეიცავს. აფხაზურმა, ოსურმა და რუსულმა მხარეებმა დოკუმენტები წარმოადგინეს როგორც რუსულ, ისე ინგლისურ ენაზე და ადამიანს შესაძლებლობა აქვს მას გაეცნოს ან ინგლისურ ან რუსულ ენაზე. ქართულმა მხარემ დოკუმენტები გამოაქვეყნა მხოლოდ ინგლისურ ენაზე. თუმცა არის ორიგინალი დოკუმენტები, რომლებიც ქართულ ენაზეა გამოქვეყნებული. ამით იმის თქმა მინდა, რომ დარწმუნებული ვარ, 1100 გვერდს ინგლისურად დედამიწის ზურგზე მხოლოდ ორმოცდაათი ექსპერტი თუ წაიკითხავს, დანარჩენებს ამხელა დოკუმენტი არ აინტერესებს. უმრავლესობისთვის, მეორე დღეს გაზეთებში გამოქვეყნებული სათაურებიც საკმარისია იმის გასაგებად, თუ რაზეა ეს დოკუმენტი, და მის მიმართ საკუთარი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად. ეს კონფლიქტები, ჩვენს ტერიტორიაზე, როგორც კავკასიაში, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მაინც უფრო რუსულენოვანი კონფლიქტებია, ანუ, მხარეები, როგორც წესი, საკონტაქტოდ რუსულ ენას მიმართავენ, და უფრო მეტი ადამიანი დაინტერესებულია ამ ტიპის დოკუმენტებს გაეცნოს რუსულ ენაზე. სომხეთიდან და აზერბაიჯანიდანაც უკითხავთ ჩემთვის, ხომ არ უთარგმნიათ რუსულ ენაზე, რომ გაეცნონ მას. ამ ფონზე, მესამე ტომიდან გამომდინარე, ყველა კარგად გაეცნო რუსულ, აფხაზურ

და ოსურ პოზიციებს, მაგრამ მათთვის უცნობი დარჩა ქართული პოზიცია. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ რუსული ენა ოკუპანტების ენაა, და მის მიმართ ასეთი მორალური დამოკიდებულება გვაქვს, წმინდა პრაგმატული კონტექსტიდან გამომდინარე, თუ გვინდა რუსეთშიც გვყავდეს მომხრეები და გავაცნოთ მათ ჩვენი პოზიცია რუსულ ენაზეც რომ ყოფილიყო, საქართველოშიც უფრო მეტი ადამიანი უკეთ გაეცნობოდა ქართულ პოზიციებს და თავისთავად, საინტერესო იქნებოდა. ამიტომ ჯერ კიდევ დროშია გაწერილი სერიოზულად ამ დოკუმენტის როგორც ათვისება, ისე შემდგომ მისი გადახარშვა და შეფასებების წარმოდგენა. მსოფლიოში კი, ჩემი აზრით, ეს დოკუმენტი უკვე დაავიწყდათ კიდევ. გამოქვეყნებიდან ძალიან ძალევე ჩატარდა რამდენიმე კონფერენცია, და მერე ერთბაშად შეწყდა დებატები. ამკარად ჩანს, რომ უკვე მინელდა ამ თემის მიმართ ინტერესი.

ამ ფონზე დოკუმენტს მე შევაფასებდი როგორც არა სამართლებრივს. ამას თავად ჰაიდი ტალიავინიც განმარტავს, მისი თქმით, ეს არ არის სამართლებრივი, სასამართლოში წასაღები დოკუმენტი, ეს პოლიტიკური დოკუმენტია, დაწერილი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების მიერ და წარმოადგენს ევროპის ხედვას. აჩვენებს, როგორ ხედავს ევროპა ამ კონფლიქტს. ძალიან გამიხარდა, როდესაც ბატონმა თემურმა აღნიშნა, რომ ამ კომისიის შექმნის ინიციატორი საქართველოს მხარე და უშუალოდ ბატონი სააკაშვილი ყოფილა, რომელმაც წერილობით მიმართა ქალბატონ მერკელს. კარგი იქნებოდა, თუ ეს დოკუმენტალურად იქნება წარმოდგენილი. თუ ხელთ გვექნება ამ წერილის დოკუმენტი, რომელშიც ბატონი სააკაშვილი მიმართავს ქალბატონ მერკელს და სთხოვს მას ამ კომისიის შექმნას, დიდი სიამოვნებით დავეყრდნობოდი ამ შეტყობინებას. იმიტომ რომ ყველა სხვა დოკუმენტში ჩანს, რომ კომისია ევროკავშირის ინიციატივით, სექტემბრის სესიაზე და შემდეგ უკვე დეკემბრის განკარგულებით შეიქმნა. დოკუმენტებში არ ჩანს ქართული მხარის ინიციატივა ამ კომისიის შექმნის შესახებ. ამიტომ კარგი იქნება, თუ მნიშვნელოვანი დოკუმენტების ნუსხას ეს დოკუმენტიც დაემატება. პირადად მე, ყოველთვის თავს მოვიწონებდი ამ კომისიის ჩვენი ინიციატივით შექმნის გამო.

ჩემი ღრმა რწმენით, ამ დოკუმენტით დასრულდა საკმაოდ სერიოზული ეტაპი. ძალიან დიდხანს ველოდით კომისიის დასკვნას. მოსალოდნელი უახლოეს ხანებში აღარაფერია. დაიღო საქართველოს პარლამენტის დასკვნა, დაიღო ბატონ თემურ იაკობაშვილის სერიოზული პრეზენტაცია და ეს დასკვნა. ხელთ გვაქვს სამი მეტნაკლებად კომპეტენტური დოკუმენტი, რომელთა შეჯერებითაც და ანალიზითაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა მოხდა სინამდვილეში 2008 წლის აგვისტოში. მომავალში ჯერჯერობით არაფერს ველი. შესაძლებელია ჰააგის სასამართლოში სარჩელი, მაგრამ როგორც ჩანს, ეს საკითხი დიდხანს გაიწელება. ასე რომ, ექსპერტებს და ანალიტიკოსებს უკვე აქვთ იმის საშუალება, რომ დაიწყონ ამ სამი დოკუმენტის შესწავლა და ანალიზი.

პირადად ჩემთვის, ადამიანისთვის, რომელიც კონფლიქტის თემაზე მუშაობს, ეს არის ერთ-ერთი ეტაპი, ერთ-ერთი შეფასება. მაინტერესებს, ამის შემდეგ რას გავაკეთებთ და როგორ მოვიქცევით. ამ დოკუმენტში, როგორც სარკეში, ისე ჩანს საქართველოს მხარის პოზიციები. მაგრამ სარკეში საკუთარ თავს კი არა, რუსეთს ვხედავთ. ეს შემამფოთებელი და დამაფიქრებელია. იმიტომ რომ, ამ დოკუმენტის ძალა, ჩემი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ამბობს, რომ სამხრეთ კავკასიაში მშვიდობა არ დამყარდება, ვიდრე არ მიიღწევა ურთიერთგაგება ამ ფაქტებთან დაკავშირებით. ამ დოკუმენტის ავტორები პირდაპირ მოგვიწოდებენ ამ ფაქტებზე მსჯელობისა და ურთიერთგაგების მიღწევისკენ.

მეორე მნიშვნელოვანი ის არის, რომ დოკუმენტის ავტორთა შეფასებით, ანგარიშის მიზანს წარმოადგენს მომხდარი მოვლენების აღწერა, და დასკვნების გაკეთება რეგიონში უფრო უსაფრთხო მომავლისათვის. ამ მიმართულებით, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რამდენად გულწრფელად წაიკითხავს ამ დოკუმენტს ქართული საზოგადოება და საქართველოს ხელისუფლება. მკაფიოდ დავინახე, რომ დოკუმენტი

მიმართულია გამოაშკარავოს და დააფიქსიროს რუსეთის მნიშვნელოვანი და შეუქცევადად უარყოფითი როლი ამ კონფლიქტში, მაგრამ ამავე დროს, მკაფიოდაა გამოკვეთილი, რომ საქართველოს ხელისუფლება პრაქტიკულად არაფერს აკეთებდა იმისთვის, რათა ეს პროცესი შენელებულიყო და არ მივსულიყავით ამ საბედისწერო შეცდომამდე. მით უმეტეს, რომ ამ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმას დოკუმენტი სწორედ ქართულ მხარეს აბრალებს. შესაძლოა უფსკრულამდე 300 ნაბიჯი იყოს და 299 გადავდგა, მაგრამ თუ მესამასე ნაბიჯიც არ გადავდგი, უფსკრულში არ გადავვარდები. ჩანს, რომ ეს საბედისწერო ნაბიჯი გადადგა ქართულმა მხარემ. ხუთჯერ არის ნახსენები ფრაზები, მაგალითად, „ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის საარტილერიო დაბომვით 2008 წლის 7 და 8 აგვისტოს ღამეს დაიწყო შეიარაღებული ფართომასშტაბიანი კონფლიქტი საქართველოში“, „ღია სამხედრო მოქმედებები დაიწყო ფართომასშტაბიანი ქართული სამხედრო ოპერაციით, რომელიც განხორციელდა ქალაქ ცხინვალისა და მისი შემოგარენის მიმართულებით, 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს“, ეს პოზიცია ხუთჯერაა ნახსენები. მართალია, კომისია არც ერთხელ არ ახსენებს სიტყვას „ომი“, მაგრამ ნუთუ შეიძლება თავის დამშვიდება, რომ რადგან ომს არ ახსენებს, ყველაფერი წესრიგშია? დოკუმენტი დიპლომატიურად და პოლიტიკური კონტექსტით არის დაწერილი, მაგრამ ცალსახად მიანიშნებს, რომ ეს საბედისწერო ნაბიჯი, რომელმაც შემდგომ საბედისწერო შედეგები გამოიწვია, სამწუხაროდ, ქართულმა მხარემ გადადგა.

მომავალში თუ გვინდა ოსებთან და აფხაზებთან შერიგება, უნდა ვადიაროთ, რომ ჩვენმა ნაბიჯებმა გამოიწვია ეს კატასტროფული შედეგები. ამიტომ ჩემთვის ამ დოკუმენტში უფრო მნიშვნელოვანია, საკუთარი თავის დანახვა და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება. ამის პარალელურად, რა თქმა უნდა, უნდა გვახსოვდეს ისიც, რა გააკეთა რუსეთმა. მე ასევე მაქვს ამოწერილი ციტატები რუსეთის წინააღმდეგ და მათზე მართლაც უფრო მეტი წერია. მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ მოძიებული ფაქტების 80% რუსეთისთვის თუ გუბეა, ჩვენთვის დარჩენილი 20% ოკეანეა, რომელშიც ჩავიხრჩობით, თუ ვერ დავინახეთ ამ შეფასების უკან რა დგას. ეს კი ის არის, რომ ევროპა ვერ ხედავს საქართველოში იმ სახელმწიფოს, რომელსაც შეიძლება ენდოს. ნახვასმით არის შეფასებების ბოლოს ნათქვამი, რომ საომარი მოქმედებები შეიძლება ისევ განმეორდეს და ევროპულ ინსტიტუტებს მოუწოდებენ, ყურადღება გაამახვილონ და ჩამოყალიბდნენ ამ მიმართულებით.

ეს დოკუმენტი, როგორც ჩვენი, ისე რუსეთის მიმართ, საკმაოდ გაწონასწორებულია, კომისია ორივე მხარის მიმართ დამნდობი იყო. მე მინდა იმ ორ ფაქტზე გავამახვილო თქვენი ყურადღება, რომელიც ჩემი აზრით, უცნაურად არ მოხვდა ამ დოკუმენტში. იუნგი იხსენებს, რომ ყველაზე ძალიან რაც აინტერესებდა, ევქარისტის საიდუმლო იყო, და იმედი ჰქონდა, რომ მამამისს, რომელიც ღვთისმეტყველი იყო, და მას კატეხიზმოს ასწავლიდა, მოუსმენდა ამ საიდუმლოს შესახებ. მაგრამ როგორც კი ევქარისტიაზე მივიდა, მამას მოუბოდიშებია მოსწავლეებისთვის, რომ ევქარისტის საიდუმლო მისთვისაც უცნობი იყო და შემდეგ თავზე გადასულა. ასევე გამიწვილდა მეც მოლოდინი ამ ორ ფაქტთან დაკავშირებით. კომისიის მიერ ყველაზე მეტად ამ ორი ფაქტის შეფასება მაინტერესებდა. პირველია 3 ივლისს სანაკოვეის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტი, და მეორე, 7 აგვისტოს საღამოს შვიდის ნახევრიდან ღამის თორმეტის ნახევრამდე ფაქტის დადგენა. ამ ფაქტებზე დასკვნაში ერთი სიტყვაც კი არ არის ნახსენები. ამ ორი ფაქტით დავინახავდი, რამდენად სერიოზულად მიუდგა საქმეს კომისია. კომისიაში, როგორც ბატონმა თემურმა თქვა, შესაძლოა, მართლაც იყვნენ შესულები საეჭვო ადამიანები.

გოგი გვახარია – იქნებ გვითხრათ, კონკრეტულად ვისზეა საუბარი?

პაატა ზაქარეიშვილი – ბატონმა თემურმა ახსენა „გაზპრომის“ მიერ რამდენიმე პიროვნების დაფინანსება, მაგრამ არ მინდა ახლა ამაზე ღროის დაკარგვა, მე იმის თქმა მინდა, რომ კომპეტენტური ადამიანები საქართველოშიც არიან. ძალიან ბევრმა, მათ შორის მეც, ვიცით, როგორ მიდიოდა პროცესები. ხშირ შემთხვევაში, კომისიის დასკვნა უფრო მეტს მეტყველებს ვეროპაზე, ვიდრე სინამდვილეზე. ვხვდები, რომ კომისია ცდილობდა, ყოფილიყო გაწონასწორებული, დიპლომატიური და ბევრ რამეზე არ გაემახვილებინა ყურადღება, რომ ამით არ შეექმნა დაძაბული ემოციური მდგომარეობა. წერენ კიდევ, რომ მათ ამოცანას არ წარმოადგენდა ემოციებით მანიპულირება. 3 ივლისს დაიწყო შეუქცევადი პროცესები, რომლებმაც მიგვიყვანა 8 აგვისტომდე, მაგრამ ამაზე არაფერია ნათქვამი. თუმცა, საუბარია საქართველოს გაერთიანებაზე რუსეთთან, საბჭოთა კავშირში საქართველოს როლზე, იმდროინდელ პრობლემებზე, მიმოხილულია მთელი ისტორია, 1801 წლიდან მოყოლებული, მაგრამ 3 ივლისზე იქ არაფერი წერია. შეგახსენებთ, 3 ივლისს ტერაქტი განხორციელდა სანაკოევის კორტეჟზე, ქართული სოფლების მიდამოებში, წვერიანოს გზაზე. ისე, რომ გამოძიება არ ჩატარებულა, ქართულმა მხარემ ტერაქტში ოსური მხარე დაადანაშაულა და დაიკავა სარაბუკის სიმაღლე, რომელიც ჩვენ ჟვანია-კოკოითის ხელმოწერილი 2004 წლის ოქტომბრის დოკუმენტით გვქონდა ჩამორთმეული. ეს ძალიან სერიოზული დოკუმენტი იყო და აკონტროლებდა ჯავას, შემოვლით გზას, ბევრ ქართულ სოფელს. ისე, რომ ეუთოს და სამშვიდობოებს არ შეუსწავლიათ ეს ფაქტი, ნივთმტკიცებები განადგურებული იყო, ქართულმა მხარემ ერთ საათში დაიკავა ეს სიმაღლე. ამის შემდეგ ოსური მხარე ყოველდღიურად ცდილობდა ამ მთის უკან დაბრუნებას. ყოველდღე მიმდინარეობდა ბრძოლები და 7 აგვისტოს დაიწყო საომარი მოქმედებები. სწორედ ამ ინციდენტმა გამოიწვია შეუქცევადი პროცესები, რამაც მიგვიყვანა კატასტროფულ შედეგამდე. რუსებმა მაშინვე განაცხადეს, რომ ეს დადგმული სცენარი იყო, მე ამაზე ვერაფერს ვიტყვი. რუსები ამ ფაქტს ქართულ მხარეს, ქართველები კი, ოსურ მხარეს აბრალებდნენ. ფაქტი მოითხოვს დადგენას, რა მოხდა. მაგრამ კომისიის დასკვნაში მინიშნებაც კი არ არის ამ ფაქტზე.

მეორე, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი – რა მოხდა 7 აგვისტოს, მას შემდეგ რაც ბატონმა სააკაშვილმა სადამოს გააკეთა აბსოლუტურად სწორი განცხადება იმის შესახებ, რომ ესკალაცია ღრმავდებოდა და მოწინააღმდეგეები გვითრევდნენ პროვოკაციაში. მან გასცა ბრძანება, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, ქართულ მხარეს ცეცხლისთვის არ ეპასუხა. ამის შემდეგ დაიწყო სმს-ების მიმოწერა ჩემსა და ოს კოლეგებს შორის, გვიხაროდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა და ომი არ დაიწყებოდა. უცნობია, რა მოხდა ამ განცხადების გაკეთებიდან ღამის თორმეტის ნახევრამდე, როდესაც ქართული მხარე იძულებული იყო გადასულიყო შეტევაზე და ცეცხლის იმ წერტილების ჩაქრობაზე, საიდანაც დაიწყო ქართული სოფლების დაბომბვა, შემდეგ იძულებული იყო დაეკავებინა ეს სოფლები, დილით კი, ბრძოლა უკვე ცხინვალის რეგიონში მიმდინარეობდა. მოგესხენებთ, 10 აგვისტოს უკვე მთელი მსოფლიოს ჟურნალისტები იყვნენ ჩამოსულიები თბილისში. ჩემთან მოვიდა ორი უცხოელი ჟურნალისტი. მათ მითხრეს, რომ დახურულ ბრიფინგზე იმყოფებოდნენ, სადაც ეუთოს ის ორი დამკვირვებელი გამოვიდა, რომლებიც 7-დან 8 აგვისტომდე ცხინვალში იმყოფებოდნენ. მათ უთქვამთ, რომ ამ პერიოდში დაბომბვის ხმა არ გაუგიათ. ეს შემდეგ განმარტდა და სკანდალიც გამოიწვია. 10 აგვისტოს ჩემთვის უკვე ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ ეუთოს დამკვირვებლებს ეჭვი ეპარებოდათ, იბომბებოდა თუ არა სინამდვილეში ქართული სოფლები, რაც ქართული მხარის მიერ განხორციელებული შეტევის მოტივი იყო. მე არ ვამბობ, რომ ქართული მხარე ტყუის, მაგრამ ეს ფაქტი ხომ არსებობს. ეუთოს დამკვირვებლებმა ეს ფაქტი ნოემბერში საჯაროდ განაცხადეს, რამაც ქართულ მედიაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. მაშინ ისიც ითქვა, რომ ეს ოფიცრები „გაზპრომის“ მიერ იყვნენ ნაყიდები. ამ ყველაფერმა დაბადა კითხვა, მართლა იბომბებოდა თუ არა ქართული სოფლები. მაგრამ სამწუხაროდ, არც ეს ფაქტი არ არის დადგენილი. ანუ, ორი მთავარი მომენტი, საიდანაც დაიწყო შეუქცევადი ესკალაცია და საიდანაც

დაიწყო ქართული შეიარაღების გადაადგილება, რომლებშიც არსებობს საეჭვო მონაცემები, არ არის დადგენილი. ამის გამო ვასკვნი, რომ ამ კომისიის ამოცანა არ ყოფილა მხარეების დადანაშაულება, დამნაშავე მხარის გამოვლენა, მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ემოციებისგან დაეცალა კონტექსტი და მიეღო მეტნაკლებად ნეიტრალური დასკვნა, რის შედეგადაც ყველა მხარე კმაყოფილი იქნებოდა. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მეტს არც ველოდი, მაგრამ მიმაჩნია, რომ თუ გვსურს ურთიერთობის და ნდობის აღდგენა ოსურ და აფხაზურ მხარეებთან, და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, კონფლიქტის მოგვარება და დევნილების თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება, ამით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ, უფრო მაღალი მორალური, სამართლებრივი და პოლიტიკური თამასა უნდა დავიყენოთ და არა ამ დასკვნის პოზიციები, რაც თავისთავად ძალიან საინტერესოა.

გოგი გვახარია – ახლა სიტყვას ბატონ თორნიკეს გადავცემ და შეკითხვასაც დავუსვამ. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ამ კომისიის დასკვნა დღეს უკვე აღარავის აღარ ახსოვს, მაპატიეთ თუ არასწორად გაგიგეთ. თუ ამ დასკვნას არაფერი უქნია, და მხოლოდ გაზეთების მკვირალა სათაურებში აისახა, მაშინ რა საჭირო იყო ამხელა ემოციები, იქნებ, ამაზეც გვიპასუხოთ.

თორნიკე შარაშენიძე – ევროკავშირი ყველასთვის მისაღები იყო: რუსებისთვის, რადგან რუსები ვერ იტანენ ამერიკის ყოფნას ჩვენს რეგიონში და ჩვენთვისაც, ამიტომ ძალიან დიდი იყო მოლოდინი. ცხადია, ამ კომისიის მიმართ ვნებათაღელვა ჩაცხრა, მაგრამ თუ საქმეს დასჭირდება, ყოველთვის შეიძლება, ჩვენც და რუსებიც ამ დასკვნას მივუბრუნდეთ.

კომისიის შექმნა, თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ჩვენ, ერთადერთი ომი, რომელიც შეგვიძლია მოვიგოთ რუსებთან, საინფორმაციო ომია, სხვა ომს, გასაგებია, რომ ვერ მოვიგებთ. დასკვნაში ფაქტობრივი მასალა, დავეთანხმები გამომსვლელებს, ძირითადად ჩვენ მხარეზეა, რაც, ერთი მხრივ არ იყო მოულოდნელი, იმიტომ რომ რუსეთმა დესტრუქციული როლი ითამაშა კონფლიქტების განმავლობაში. თავიდან გაჟონა ინფორმაციამ, რომ დასკვნაში ცუდი რაღაცები ეწერა საქართველოზე და მოლოდინი მის მიმართ უფრო უარყოფითი იყო. როდესაც გავეცანიტ დასკვნას, ვიყავით პოზიტიურად შოკირებულები, რომ მასში მაინც ბევრი სიმართლე ეწერა და ეს სიმართლე ჩვენს მხარეს იყო. თუმცა, დასკვნამ მისცა სპეკულაციის საშუალება ყველა მხარეს, იმიტომ რომ ის ძალიან ევროპულად, დაბალანსებულად არის დაწერილი. ამ მხრივ, წინააღმდეგობებსაც შეიცავს. მან სპეკულაციის საშუალება მისცა რუსეთსაც და ამით იყო გამოწვეული, რომ მისი გამოქვეყნების მეორე დღეს რუსული მედია პოზიტიური ისტერიკით იყო მოცული. ეს შეიძლება დასავლურ მედიაზეც ითქვას. სტატიები იბეჭდებოდა ჩვენთვის ძალიან ცუდი სათაურებით. ეს ალბათ იმიტომ, რომ ტალიავინმა თქვა თვითონ, რომ სროლა პირველებმა ქართველებმა დაიწყეს. ამის გამო პრესა ძალიან უარყოფითი იყო ჩვენთვის მეორე დღეს. მაგრამ ორი-სამი დღის შემდეგ, როდესაც უკეთესად გაეცნენ დასკვნას, უცხოური პრესა ჩვენკენ მოტრიალდა.

დავა მიდიოდა იმაზე, რომ ცხინვალის დაბომბვა ჩვენი მხრიდან არაპროპორციული პასუხი იყო. პრინციპში, ეს იყო ყველაზე სერიოზული არგუმენტი რუსეთის სასარგებლოდ, თუმცა, ეს სადაო საკითხია. გაუგებარია, როგორ უნდა გაიზომოს სროლის პროპორციულობა. მაგრამ რუსული პასუხი, როდესაც მან გადმოკვეთა ადმინისტრაციული საზღვარი, შემოვიდა გორში და თბილისისკენ დაიძრა, ყველა სტანდარტის მიხედვით, ნამდვილად არაპროპორციული იყო. ასე რომ, პროპორციებზე თუ მიდგება საქმე, ამ მხრივაც, სიმართლე ჩვენს მხარეს უფრო არის.

რა მოიტანა კომისიამ და რას უნდა ველოდეთ მომავალში. რუსეთში კომისიის დასკვნას, ცხადია, ბევრი არაფერი შეუცვლია. როგორც არ უნდა ვიმუშაოთ რუსეთზე, იქ 95% მაინც დარჩება ქვეყანაში გაბატონებული მედიის ტყვეობაში. აქ რომ ვუყურებთ

„არტივიანი“, გვიხარია და ვფიქრობთ, რომ იქაც ისმის ობიექტური აზრი და კრიტიკა, მაგრამ რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა ამ არხს არ უყურებს. ჩვენ როგორც არ უნდა ვიბრძოლოთ ამისთვის, რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა მაინც დარჩება დეზინფორმაციაში და იმ საინფორმაციო პროპაგანდის ტყვეობაში, რომელიც ხორციელდება კრემლის მიერ კონტროლირებად მედიაში. ასე რომ, კომისია რუსეთში ბევრს ვერაფერს შეცვლიდა. რაც არ უნდა დაეწერა კომისიას, რუსები მაინც იტყონენ, რომ მათ გაიმარჯვეს და ქართველებს აგრესორებს გვიწოდებდნენ. ის დოკუმენტური ფილმიც, რომელიც გადაიღო რუსმა რეჟისორმა ნეკრასოვმა, რუსეთში, სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს შეცვლის. ეს უნდა ვადიაროთ.

კომისიის დასკვნას საქართველოს საერთაშორისო პოზიციებზე სერიოზული გავლენა არ მოუხდენია. პრესაში რამდენიმე დღეში, როდესაც ყველაფერი გაანალიზდა, დაიწერა კიდევ, რომ პრინციპში, კომისიას ახალი არაფერი უთქვამს. ყველამ ვიცოდით, რომ რაღაც მომენტში საქართველოს მთავრობა აჩქარდა, როდესაც აჰყვა პროვოკაციას, მაგრამ ამავე დროს ითქვა, რომ ყველაფერში დამნაშავე იყო რუსეთი, რომელმაც მოახდინა ესკალაცია.

მინდა „გაზბრომის“ მიერ მოსყიდულების თემასაც შევეხო. საერთოდ, არ ვარ შეთქმულების თეორიების მომხრე, მაგრამ ფაქტია, რომ კომისიაში იყო რამდენიმე ადამიანი, ვინც წინასწარ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია და კომისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგაც თქვა, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი უნდა იყოს. შეთქმულების თეორიები, მიუხედავად იმისა, რომ არაპოპულარულია ჭკვიან ხალხში, რუსეთის შემთხვევაში მუშაობს. რუსებს სჩვევიათ მედიის მოსყიდვაც.

მინდა დავეთანხმო ბატონ პაატას, არ შეიძლება რუსებს მივბადოთ. რუსული მედია მთელი დღე ლანძღავს ამერიკას და გახარებული იუწყება იმის შესახებ, რომ დაეცა დოლარის კურსი, რომ ამერიკელებს დაეღუპათ ჯარისკაცები ავღანეთში და ა.შ. ჩვენ იგივე პოზიცია რუსეთის მიმართ არ უნდა დავიკავოთ, უნდა ვაჯობოთ მას და უფრო კონსტრუქციულები ვიყოთ. არ უნდა დაუშვათ იგივე შეცდომები აფხაზეთთან და ოსებთან, რაც დაუშვეს რუსებმა ჩვენთან. მათ უნდა დავანახოთ, რომ სხვებზე უკეთესები ვართ, ვართ სამაგალითოები და ჩვენთან ცხოვრება შეიძლება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ჩვენი მედიის ისტერიულობა ძალიან ჰგავს რუსული მედიის ისტერიულობას. რუსების შემთხვევაში, გარე მტერია ამერიკა, ჩვენს შემთხვევაში – რუსეთი. ჩვენ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ამის სათქმელად, რადგან ამერიკას არ დაუპყრია რუსეთის ტერიტორია. თუმცა, მაინც აჯობებს ამას ავცდეთ, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, ერთადერთი ომი, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ შეგვიძლია მოვიგოთ, საინფორმაციო ომია. თუ გვინდა, რომ საინფორმაციო და კულტურულ სივრცეში გადმოვიბიროთ ოსები და აფხაზები, ჩვენი მედია უნდა იდგეს უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე რუსული, ანუ, არ უნდა ვიყოთ პროპაგანდაზე ორიენტირებულები თავიდან ბოლომდე.

რა მიმართულებით უნდა წარიმართოს მუშაობა აფხაზეთთან და ოსებთან, ვფიქრობ, ამაზე უკეთესად ისაუბრებენ ბატონი პაატა და ბატონი თემური, რადგან ისინი უშუალოდ მუშაობენ ამ საკითხებზე. მე მხოლოდ გარედან შემფასებელი შემიძლია ვიყო. თუმცა, როგორც დამკვირვებელმა, შეიძლება, ვივარაუდო, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ორ ფაქტორზეა დამოკიდებული, გლობალურ პოლიტიკაზე, გლობალურ პოლიტიკაში ძალთა გადანაწილებაზე. აქვე დავძენ, რომ არ შეიძლება ვიყოთ მხოლოდ ამერიკის ან ბრიუსელის იმედად, ძალიან აქტიურად უნდა ვიმუშაოთ სახალხო დიპლომატიის გზით აფხაზეთთან და ოსებთან. ისეთი სიტუაცია უნდა შევქმნათ, რომ როდესაც გლობალური პოლიტიკური კონტექსტი შეგვიწყობს ხელს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, ამ პროცესს მომხადებულები შევხვდეთ და აფხაზეთთან და ოსებთან ლაპარაკის შესაძლებლობა გვქონდეს. . ეს, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ტალივანის კომისიის დასკვნას, ის შესაძლოა, ძალიან გამოგადგეს მაშინ,

როდესაც მოვა დრო, რომ ქვეყანა იყოს იმ საზღვრებში, რომელშიც ჩვენ გვინდა იყოს. იმედია, ოდესმე ამის დროც მოვა,

გოგი გვახარია – პირველი შეკითხვით მინდა მივმართო ბატონ თემურ იაკობაშვილს. არ შემიძლია არ გკითხოთ ქალბატონ ლირა ცხოვრებოვაზე, რომელიც არის „შვიდობის ფესტივალის“ ჟიურის წევრი. მეც ვარ ამ ფესტივალის წევრი. ბატონი თემურის მიერ ნათქვამმა „ცხოვრებოვებმა“ გამახსენა „რუსთავი2-ზე“ გასული სიუჟეტი, რომელშიც ქალბატონი ლირა გამოყვანილი იყო როგორც შპიონი. მე მინდა კვითხო ბატონ თემურს, თუ ერთი თვის წინ ქალბატონი ლირა ჩამოდიოდა თბილისში, ხვდებოდა ქართველებს და მართლაც იყო სახალხო დიპლომატიის შანსი ლირას და სხვა ადამიანების მაგალითზე, რატომ აღმოჩნდა ერთი თვის მერე ლირა ცხოვრებოვა ფსბ-ს აგენტი? თუ მანამდე იყო ფსბ-ს აგენტი, რატომ არ დააპატიმრეთ ის, როდესაც საქართველოში ჩამოდიოდა? ომთან დაკავშირებით ამ ადამიანს აქვს თავისი პოზიცია, ისევე, როგორც ამ კომისიის წევრებს, არ არის აუცილებელი, „გაზპრომი“ გაფინანსებდეს, რომ გიყვარდეს რუსეთი. **თემურ იაკობაშვილი** – თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ საქართველოს ტელევიზიები და თემურ იაკობაშვილი ერთი და იგივე არ არის. ტელევიზიაში ნათქვამი შეიძლება განსხვავებოდეს იმისგან, რასაც მე ვამბობ. მე არ ვიცი, ლირა ცხოვრებოვა არის თუ არა აგენტი, მე მხოლოდ ფაქტებიდან გამომდინარე ვლაპარაკობ. ლირა ცხოვრებოვა აღმოჩნდა ამერიკაში საკმაოდ საეჭვო ხალხის მიერ ორგანიზებულ საეჭვო შეხვედრებზე. ეს არის ხალხი, რომელიც მუშაობს რუსულ სპეცსამსახურებზე და რუსულ პროპაგანდაზე.

ლელა გაფრინდაშვილი, ფილოსოფოსი – შეგიძლიათ დაგვისახელოთ ეს ორგანიზაცია?

თემურ იაკობაშვილი – ჩვენთან თუ მობრძანდებით, გადმოგცემთ იმ ორგანიზაციების სიას, რომლებიც ოფიციალურად რეგისტრირდებიან როგორც რუსეთის ლობისტები. უწერიათ, რომ ფული აქვთ აღებული რუსეთისგან და „გაზპრომისგან“. ეს საჯარო ინფორმაციაა და ინტერნეტშიც შეგიძლიათ ნახოთ. ამიტომ, ლირა ცხოვრებოვასთან დაკავშირებით ჩვენი პრეტენზია იმას კი არ უკავშირდება, თუ რატომ უყვარს ოსები ან რატომ არ უყვარს ომი, არამედ იმას, რომ ის იმ ხალხის მიერ ჩვენს წინააღმდეგ ინსტრუმენტად იყო გამოყენებული. მეტსაც გეტყვით, საქართველოში გადაღებული ფილმი, რომელიც შესაძლოა მოგვწონდეს ან არ მოგვწონდეს, შიდა დისკუსიისთვის ძალიან საინტერესოა, მაგრამ ჩვენმა არაკეთილისმოსურნეებმა ის წაიღეს ბრიტანეთში, პარლამენტში, სადაც თქვეს, რომ ქართველები თავად ვამბობთ ყველაფერს და გამოთქვას გაკვირვება, რატომ ვაბრალებთ რუსებს რაღაცებს. ანუ, ასეთ ხალხს რუსეთის ნაშუსის გარეცხვისთვის იყენებენ, რაც მე, რა თქმა უნდა, არ მომწონს.

რაც შეეხება ბატონი პაატას შეკითხვას, რატომ არ იყო ჩვენს მიერ მიწოდებული მასალები რუსულ ენაზე. ინგლისურად რომ იყო, არ გაგიკვირდათ? ამხელა მასალის მომზადება ასეთ მოკლე დროში და ინგლისურად სათანადო ტერმინოლოგიით მიწოდება დიდი საქმეა. თავიდან ლაპარაკი იყო მხოლოდ მათთვის ინფორმაციის მიწოდებაზე მათივე ენაზე. ჩვენ არ ვიცოდით, რომ მას შემდეგ გამოაქვეყნებდნენ. მათ მერე გადაწყვიტეს, რომ ყველა ის მასალა, რომელიც მხარეებისგან მიიღეს, გამოექვეყნებინათ. აქ მინდა ხაზი გავუსვა, რომ არის მხოლოდ ორი მხარე, რუსეთი და საქართველო. ეს არის მიზეზი იმისა, თუ რატომ არ გადავეცით მასალა რუსულ ენაზე. თუმცა მეტსაც გეტყვით, ლარსთან მოლაპარაკებები რომ იყო, ჩვენ მოვითხოვეთ, ის ინგლისურ ენაზე წარმართულიყო. რუსებს მოუწიათ დელეგაციის გამოცვლა. რუსული ენის საწინააღმდეგო, პირადად მე, არაფერი მაქვს, ვლაპარაკობ რუსულად, ჩემმა ბავშვებმაც იციან რუსული, ჩვენ არ ვერჩით რუს ერს, ტოლსტოის, დოსტოევსკის.

ბატონო პაატა, დოკუმენტში ცალსახად წერია, რომ 2006 წლიდან საქართველოს ხელისუფლებამ გაააქტიურა სამშვიდობო ინიციატივები, ჩვენი მხრიდან იყო მცდელობები. და თუ ეუთოს დამკვირვებლებმა, რომლებიც სარდაფში ისხდნენ და იქიდან ვერ გაიგეს, როგორ იბომბებოდა თამარაშენი, მე თვითონ ვიყავი ცხინვალში შვიდში, კულახმეტოვის კაბინეტში ვისხედით, დღის 4 საათი იქნებოდა და კარგად მესმოდა, როგორ იბომბებოდა გაუბიცებით ჩვენი სოფლები. ძალიან სპეციფიური ხმა აქვს და დღემდე მახსოვს დ30 გაუბიცის ხმა. იმ შეხვედრაზე, რომელზეც ბატონი პაატა საუბრობდა, რუსეთის წარმომადგენელმა ეუთოში თქვა, რომ მათ არა აქვთ მონაცემები, რომ სამშვიდობოებს შორის არიან დაღუპულები ან დაჭრილები. ეს მომენტიც ძალიან საინტერესოა, იმიტომ რომ მერე თქვეს, რომ დაგუხოცეთ სამშვიდობოები.

რაც შეეხება იმას, რა უნდა გავაკეთოთ ამის შემდეგ, ვეთანხმები როგორც ბატონ პაატას, ისე ბატონ თორნიკეს, რომ წინ უნდა ვიყუროთ. ჩვენი უწყება ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში ამუშავებს სახელმწიფო კონცეფციას.

გოგი გვახარია – დიდი მადლობა. ახლა უკვე შეგიძლიათ კითხვების დასმა.

ვანტანგ ბახტაძე, ჟურნალისტი – ბატონ თემურ იაკობაშვილთან მექნება ორი შეკითხვა. რატომ არ მისცა არსებულმა ხელისუფლებამ აცილება ამ კომისიის წევრ სავარაუდოდ სუკელ „გაზპრომელ“ ექსპერტებს.

მეორე შეკითხვა – იმ შემთხვევაში, როდესაც ცნობილი იყო ნატოსთან დაკავშირებით ქალბატონ მერკელის პოზიცია, რატომ მიმართა მას კომისიის შექმნის თხოვნით ხელისუფლებამ.

თემურ იაკობაშვილი – ჩვენ ვერ მივცემდით აცილებას. თუმცა გამოვხატეთ შეშფოთება და გულისწყრომა. კომისია ევროკავშირის მიერ შეიქმნა, ჩვენ მხოლოდ ჩვენი პოზიციის დაფიქსირება შეგვეძლო. ვიმეორებ, ჩემთვის უცნობია, ისინი შპიონები არიან თუ „გაზპრომელები“, მე ვთქვი, რომ ამ ხალხმა თავისი პოზიცია მანამდე დააფიქსირა და ორგანიზაციები, რომლებშიც ეს ხალხი მუშაობს, ფინანსდება „გაზპრომიდან“. ეს ღია ინფორმაციაა. ყველას მოგვხსენებათ, რომ პუშკინის საზოგადოება გერმანიაში „გაზპრომიდან“ ფინანსდება.

რაც შეეხება ქალბატონ მერკელს, თუ არ ვცდები, როდესაც ქალბატონი მერკელი თბილისში იყო ჩამოსული, ჯერ კიდევ მაშინ მიმართა მას პრეზიდენტმა, ეს სატელევიზიო ჩანაწერშიც არის ასახული, და ეს ნატოს თემაზე მის პოზიციასთან არ არის დაკავშირებული. თუმცა, მისი პოზიცია ნატოსთან დაკავშირებით არც მე მომწონს.

გიორგი ლომსაძე – ცოტა უფრო ფუნდამენტურ საკითხს მსურს შევხსო. თქვენ ამბობთ, რომ ამ დოკუმენტში იყო კარგიც და ცუდიც, მაგრამ ვხედავ, რომ თქვენთვის კარგის და ცუდის მნიშვნელობა სხვადასხვაა. ბატონი პაატა ამბობს, რომ კარგი იქნებოდა ის ფაქტებიც, რომლებიც სავარაუდოდ ჩვენს საწინააღმდეგოდ იმოქმედებდა, ყოფილიყო დაფიქსირებული, რადგან ის, რომ ჩვენ ვაღიარებდით ჩვენს საქციელს, მოგვცემდა იმის საშუალებას, რომ შემდგომში უკეთესად მოგვეგვარებინა კონფლიქტი. ბატონი თემური კი ცდილობს, საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავოს, მისი აზრით, რაც უფრო ნაკლები იქნება ასეთი ფაქტები, რაც უფრო ნაკლებად ვაღიარებთ ჩვენს შეცდომებს, უფრო პოზიტიური იქნება.

კარგად მახსოვს, ომის წინა დღეებში ბატონი თემური დადებით საუბრობდა სამშვიდობოებზე, რომლებსაც მაშინ არ მოეხსნათ მანდატი, და ნეგატიურად – ოსებზე. კონფლიქტის მოგვარების გასაღები, ბატონო თემურ, კვლავაც მიგაჩნიათ, რომ არის მოსკოვში ან თუნდაც ვაშინგტონში, თუ ახლა უკვე ფიქრობთ, რომ ცხინვალში ან სოხუმშია?

თემურ იაკობაშვილი – ძალიან სწორი კითხვაა. რაც შეეხება ჩვენს შორის პოზიციების სხვაობას, ეს ორი ძირითადი ფაქტორით არის განპირობებული. მე ვარ ხელსუფლებაში, ბატონი პაატა კი, ოპოზიციაში. მეორე მიზეზია ის, რომ ბატონი პაატა განსაკუთრებით მკვლევარი და მკვლევრებს დეტალები ყველაზე მეტად აინტერესებთ, რაც სწორია. ამიტომ ბატონ პაატასთვის ეს თემები დეტალურად არის საინტერესო. მე შემიძლია ორივე დეტალზე გავცე მას პასუხი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გავიხსენოთ, ვინ დაზარალდა სანაკოვეზე თავდასხმის დროს, გაგახსენებთ, ხუთი პოლიციელი მძიმედ დაიჭრა. პოზიციების სხვაობა გასაკვირი არ არის, გასაკვირი ის იქნებოდა, ერთ პოზიციაზე რომ ვყოფილიყავით. მე მსაყვედურობდნენ, რომ ომის დროსაც ვთქვი, რომ გენერალი კულახმეტოვი ღირსეული ადამიანია. ამას დღესაც გავიმეორებ. ის, რომ ადამიანი შენი მტერია, არ ნიშნავს, რომ ის უღირსი ადამიანი შეიძლება იყოს. ყველა რუსი არ არის უღირსი და ასე ლაპარაკი არ შეიძლება. ის არის სამხედრო, გენერალი და ასრულებდა თავის ბრძანებებს. ეს ადამიანი ბოლო მომენტამდე თავისი შესაძლებლობების ფარგლებში რაღაცის გაკეთებას ცდილობდა.

არსებობს ცნება „პრევენციული დიპლომატია“. როცა რაღაცის თავიდან აცილება გინდა, სპეციალურად აკეთებ რაღაც განცხადებებს. ამიტომ, როდესაც ვხედავდით, რომ სიტუაცია იძაბებოდა, ვცდილობდით რომ ერთბაშად არ დაგვეკავებინა ანტირუსული პოზიციები და გვეთქვა, რომ თუ რაღაც ხდებოდა, თუ კოკოითის გამო დაიძაბა სიტუაცია, დროზე მიგველო ზომები, რომ ყველაფერი დიდ ცეცხლში არ გადაზრდილიყო. ამიტომ კეთდებოდა ჩვენი მხრიდან ასეთი განცხადებები და არა იმიტომ, რომ არ ვიცოდით, სინამდვილეში რა ხდებოდა. ეს იყო კონფლიქტის თავიდან აცილების მცდელობა.

პაატა ზაქარაიშვილი – მართალია ჩვენ ვკამათობთ, მაგრამ ბატონი თემური ის ადამიანია, ვისთანაც მე მუდმივად ვთანამშრომლობ. განსხვავებული პოზიციების არსებობა ნორმალური მოვლენაა. მე განსხვავებული აზრი იმიტომ არ მაქვს, რომ ოპოზიციაში ვარ, ხშირად ოპოზიციასაც ვუპირისპირდები მთელ რიგ საკითხებზე. ასე იყო სანაკოვეის პროექტის შემთხვევაშიც, იმიტომ რომ ამაში საქართველოსათვის საფრთხეს ვხედავდი. მაშინ ხელისუფლება და ოპოზიცია ერთად იდგა, მარტო მე ვიყავი ცალკე. ის, რომ მე განსხვავებული აზრი მაქვს, არ არის მხოლოდ იმით განპირობებული, რომ ოპოზიციას წარმოვადგენ. ჩემი ხედვა მაქვს და მიმაჩნდა, რომ ეს პროექტი არ გამოიღებდა შედეგს. როცა განსხვავებულ აზრს ისმენს, საზოგადოებამ თავად უნდა გადაწყვიტოს, რომელ პოზიციას დაუჭერს მხარს.

მე მაინც მიმაჩნია, რომ დასკვნა დამნდობი იყო ჩვენს მიმართ, თუმცა ჩვენ არ უნდა ვიყოთ დამნდობები საკუთარი თავის მიმართ.

კიდევ ერთი დეტალი მინდა დავახუსტო. ბატონო თემურ, კონფლიქტის მხარეები ამ დასკვნაში აშკარად ჩანს. ძალიან ხშირად ახსენებს დასკვნა ოსურ და აფხაზურ მხარეებს. რაც მთავარია, ამ მხარეებმა მიიღეს ეს დასკვნები და მათ მოეთხოვათ დასკვნების გაკეთება. ისინი ქართულ და რუსულ მხარესთან თანაბრად არიან წარმოდგენილნი ამ დასკვნაში. ეს კარგად ჩანს დასკვნის მეოთხე თავში. ეს ნორმალურია, აქ არ არის საუბარი პოლიტიკურ მხარეებზე, საუბარია მხოლოდ კონფლიქტის მხარეებზე. სამწუხაროდ, იმისი მიზეზი, რომ ასეთი შედეგი მივიღეთ, ისიც არის, რომ ჩვენ მოვსპეთ კონფლიქტის მხარეებად აფხაზეთი და ოსეთი. ეს პოლიტიკური საკითხია და ჩვენს პოზიციებს ესეც განსხვავებს. საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს სამომავლოდ, რა უფრო სწორია, ვთქვათ, რომ არის ქართულ-რუსული კონფლიქტი თუ უმჯობესი იქნებოდა, თუ ვიტყვოდით, რომ იყო ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, სადაც მხარეები წარმოდგენილნი იქნებოდნენ არა როგორც პოლიტიკური მხარე, აფხაზეთი ან ოსეთი, არამედ როგორც კონფლიქტის მხარეები. სამწუხაროდ, ამ პოლიტიკამ დაასამარა ეს საკითხი.

არ შემიძლია არ ვთქვა ღირს ცხოვრებოვაზე. დიდი შეცდომა იყო, რომ ასეთი უნიკალური რესურსი, ადამიანი, რომელიც გადაღებული იყო ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე, ასე გავწირეთ მხოლოდ იმის გამო, რომ მართლაც მოხვდა სერიოზულ პიარ-გეგუფებში. ეს ადამიანი დღესაც ცდილობს ქართულ-ოსური ურთიერთობის გადარჩენას. ამ გახმაურებული ამბის შემდეგ ქართულ-ოსურ შეხვედრაზე შევხვდი ქალბატონ ღირსს. მას ჩვენი რცხვენოდა, და გვეკითხებოდა, ნუთუ ქართველებმა მართლა დაიჯერეს, რომ ის კვბ-ს აგენტი. ის ჩანაწერი კი, რომელიც იყო წარმოდგენილი, 2005 წელს არის გაკეთებული და არაფერი საერთო არ ჰქონია იმ დღეებთან. ასეთი ადამიანები ძალიან ცოტანი არიან ცხინვალში და თუ მოვსპეტ ასეთი რესურსი, ვერაფერს ვერ შევცვლით. ვიდრე თბილისი ამას ვერ მიხვდება, არაფერი არ გამოვა. გმადლობთ.

გოგი გვაზარია – ბატონო თემურ, ვიდრე ბატონ ავთანდილ იმნაძეს მოვუსმენდეთ, მინდა ვთქვა, რომ მეექვსეა, ინგლისის პარლამენტში ასეთი რამ ეთქვათ, რაც თქვენ ბრძანეთ. მე მგონი, ეს ჩვენი სიმდიდრეა, რომ გვაქვს განსხვავებული აზრი, შეიძლება ადამიანს ჰქონდეს ოფიციალურისგან რადიკალურად განსხვავებული აზრი. არა მგონია, ინგლისის პარლამენტში ამისთვის ყურადღება მიექციათ. რუსეთში ამას მიაქცევდნენ ყურადღებას.

თემურ იაკობაშვილი – შემიძლია სახელი და გვარი გითხრათ იმ ადამიანისა ინგლისის პარლამენტში, ვინც ეს თქვა. მაიკლ ენბორგი, ინგლისის თემთა პალატის წარმომადგენელი. ის, რომ თავისუფალი აზრი არსებობს, არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას ეს აზრი მაინცდამაინც უნდა მოსწონდეს.

ავთანდილ იმნაძე, საზოგადოება „მემორიალი“ – ბატონო თემურ, მე მინდა ერთ რამეში დაგეთანხმოდ, ომი საქართველოს არ დაუწყია. მე, როგორც ქართველს, მოქალაქეს და ეთნიკურად ქართველს, ძალიან მინდა, რომ ეს ასე იყოს და გეთანხმებით. მაგრამ ვიცი, რომ ქართული სოფლები იბომბებოდა და მიდიოდა პროვოკაცია. ქართველებმა დაიწყეს ამ საცეცხლე წერტილების დაბომბვა, რაც აბსოლუტურად გამართლებული იყო. ალბათ დამეთანხმებით, რუსები ამას ვერ გამოიყენებდნენ იმის საბაბად, რომ შემოჭრილიყვნენ. მაგრამ შვიდში და რვაში ჩვენებმა დაიწყეს დაცარიელებული ქალაქის დაბომბვა. მაინტერესებს, რატომ ვბომბავდით ცარიელ ქალაქს. რით ახსნით ამას, იმით ხომ არა, რომ რუსებისთვის შეგნებულად მიგვეცა საბაბი.

თემურ იაკობაშვილი – დიდი მადლობა მნიშვნელოვანი კითხვისთვის და იმისთვის, რომ საშუალება მომეცით, ამაზე ვისაუბრო. მე ვიყავი პრეზიდენტთან ერთადერთი ადამიანი, როდესაც მან ამის ბრძანება გასცა, და ვიცი ბრძანების გაცემის მიზეზი. სამი ბრძანება გაიცა. პირველი იყო საცეცხლე წერტილების ჩაქრობა. ადრეც იყო პროვოკაცია, მაგრამ მაშინ ქართულ პოლიციას ესროდნენ. ადრე არ დაუბომბავთ დასახლებული პუნქტები. ძალიან კარგად მახსოვს სახლი ზემო ნიქოზში, საიდანაც ქალმა შემთხვევით გამოასწრო სიკვდილს. გამოვიდა თუ არა სახლიდან, მის სახლს ყუმბარა დაეცა. ქალი აფეთქების ძალამ ზღურბლიდან გადმოაგდო. ისიც, რომ ცხინვალი ცარიელი იყო, ჩემი თვალთ მათქვს ნანახი. კულახმეტოვმაც კი არ უარყო შეხვედრაზე, რომ სროლები წარმოებდა მიზანმიმართულად რუსი სამშვიდობოების მიდამოებიდან. ეუთოს დასკვნებშიც არის იმაზე საუბარი, რომ შეიარაღებული ფორმირებები ისროდნენ სამოქალაქო შენობებიდან, როგორც არის სკოლა და საავადმყოფო. ამის მიზეზი ის იყო, რომ პასუხის გაცემის შემთხვევაში თქმულიყო, რომ სკოლა და საავადმყოფო დაიბომბა. დაახლოებით იმას აკეთებდნენ, რასაც აკეთებდნენ ტერორისტები ღაზას სექტორში. ცხინვალი დაიბომბა საარტილერიო დანადგარით და არა გრადით. გრადით დაიბომბა ცხინვალის გარშემო არსებული სიმაღლეები, სადაც იყო საცეცხლე წერტილები. საარტილერიო დანადგარი

გრადასგან განსხვავებით არის ზუსტი არტილერია. ჩვენ ტალიავინის კომისიას გადავეცით იმ საცეცხლე წერტილების ზუსტი ჩამონათვალი, რომლებიც ცხინვალში ჩვენი მხრიდან დაიბომბა. ამიტომ, არ დაიჯეროთ, რომ იქ მიმდინარეობდა მასიური დაბომბვა. ჩვენ ვამბობთ იმასაც, რომ ცხინვალის გრადებით დაიბომბა მას შემდეგ, რაც ის ავიღეთ. ძალიან მარტივი გასარკვევია ბალისტიკური გამოკვლევით, საიდან არის ნასროლი ჭურვი, ან რა ტიპის ჭურვია ნასროლი. ამის სპეციალისტები ხომ არსებობენ. რა უნდა იმის დადგენას, შენობას ჭურვი სამხრეთიდან მოხვდა თუ ჩრდილოეთიდან. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ამ კომისიას ვითხოვდით, ისიც იყო, რომ შესულიყვნენ საერთაშორისო ექსპერტები და ჩაეტარებინათ ბალისტიკური გამოკვლევა. გრადით ერთადერთი, ძარის შემოვლითი გზა დაიბომბა, საიდანაც შემოდოდნენ რუსები.

მეორე ბრძანება იყო რუსეთის სატანკო კოლონის შეჩერება. პრეზიდენტმა მხოლოდ მას შემდეგ მიიღო არტილერიის გამოყენების გადაწყვეტილება, როდესაც გაირკვა, რომ რუსეთის სატანკო კოლონა მოძრაობდა ცხინვალის მიმართულებით.

ვალეკო ჯიბლაძე, პოლკოვნიკი თადარივის – ტალიავინის კომისიის დასკვნა არ წამიკითხავს, მომხდარის შესახებ მხოლოდ სამოქალაქო მხრიდან ვიცი. ბევრი რამ გამიგია მეგობრებისგანაც, ადამიანებისგან, რომლებსაც არ აწყობთ არც ტყუილი, არც მართალი. ჩვენ მხოლოდ თავის მართლებას ვცდილობთ. ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ იმ შეცდომებზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რაც დაგვემართა.

თქვენ თქვით, რომ დაიცალა ცხინვალის. ჩვენ რას ვაკეთებდით ჩვენი სოფლების დასაცვლელად? არაფერი გაგვიკეთებია, მივატოვეთ მოსახლეობა.

მაინტერესებს, რატომ მოხდა, რომ ერაყიდან ჩამოყვანილი გაწვრთნილი ჯარი უიარაღოდ, ყვითელი ავტობუსებით მიიყვანეს გორის მიდამოებთან. მეორეა რეზერვისტების საკითხი, რომლებიც უპატრონოდ მიატოვეს.

თემურ იაკობაშვილი – ჩვენი ჯარისკაცები, რომლებიც იმყოფებოდნენ ერაყში, გაწვრთნილები იყვნენ შლაგბაუმის გაღება-დაკეტვაში და არა საომარ მოქმედებებში. ბრძოლა მიმდინარეობდა არა ამერიკული ავტომატებით, არამედ კალაშნიკოვებით. არ გამოვრიცხავ, რომ თავიანთი ავტომატები დაატოვებინეს და კალაშნიკოვები დაურიგეს. რაც შეეხება რეზერვისტების საკითხს, ჩემი დამოკიდებულება ამ თემაზე, კარგად არის ცნობილი. ჩემი აზრით, მოსახსნელი კი არა, დასაჭერია ის ხალხი, ვინც რეზერვი ააწყო და ასეთ მდგომარეობაში მიიყვანა.

ცხინვალთან დაკავშირებით კიდევ შემიძლია ვითხრათ, რომ ჩვენ რომ არ დაგვეწყო საცეცხლე წერტილების ჩაქრობა, ინტენსიურად იბომბებოდა შემოვლითი გზა, და თამარაშენის და ქურთას მოსახლეობის გამოყვანას ვერ მოვახერხებდით.

ნინო ციხისთავი, “კავკასიის ქალთა ქსელის” თავმჯდომარე – ჩემი შეკითხვა სახელმწიფო მინისტრთან არის „პრევენციული დიპლომატიის“ ჭრილში. რატომ არ განახორციელა საქართველოს ხელისუფლებამ თავისი პოზიტიური ვალდებულება და არ გამოიყვანა მოსახლეობა საომარი მოქმედებების განსახორციელებელი ზონიდან.

გოგი გვახარია – დიდი მადლობა. მეც მინდოდა ამ კითხვის დასმა. როდესაც ომის შემდეგ ინტერვიუ ჩამოვართვით გიგა ბოკერიას, მან გვითხრა, რომ ეს იყო ჩვენი სისუსტე.

თემურ იაკობაშვილი – ცხინვალს თუ არ აიღებ, მოსახლეობას ვერ გამოიყვან ქურთადან და თამარაშენიდან. რუქას დახედეთ და ნახავთ. შემოვლითი გზა იბომბებოდა. ცხინვალის რომ ავიღეთ, ამიტომაც მოხერხდა ხალხის გამოყვანა. თუ ლაპარაკია იმაზე, რომ გორის ევაკუაცია უნდა მოგვეხდინა, იმიტომ რომ შესაძლოა, რუსები შემოსულიყვნენ,

მაშინ თბილისის ევაკუირებაც უნდა მოგვეხდინა, იმიტომ რომ რუსები თბილისისკენაც მოდიოდნენ.

ალექსანდრე კაკაბაძე, სტუდენტი – შეკითხვა მაქვს ბატონ პაატასთან და ბატონ თორნიკესთან. მაინტერესებს ექსპერტების აზრი იმის შესახებ, არსებული დასკვნა როგორ შეიძლება გამოიყენოს საქართველოს მხარემ შემდგომში დიპლომატიურ ასპარეზზე.

თორნიკე შარაშენიძე – ამ დასკვნაში ძალიან კარგად არის ასახული კონფლიქტის ისტორიული განვითარება. აქ რუსეთი წარმოჩენილია ძალიან უარყოფითი კუთხით, აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მომავალში შეიძლება ამ დოკუმენტის გამოყენება. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ დასკვნაში წერია, რომ ქართველებს ეთნიკური წმენდა არ განუხორციელებიათ.

პაატა ზაქარაიშვილი – დისპლომატიურ და პოლიტიკურ დონეზეც, რა თქმა უნდა, შეიძლება ამ დოკუმენტის გამოყენება. დასკვნაში რუსეთის აგრესია მკაფიოდ არის გამოკვეთილი. ეთნიკურ წმენდაზეც მკაფიოდ წერია, რომ არ ყოფილა ქართველის მიერ განხორციელებული. მაგრამ გაგახსენებთ, 1994 წელს ეუთომ კონსენსუსით მიიღო, რომ ადგილი ჰქონდა ეთნიკურ წმენდას აფხაზეთში. მერე რამდენჯერმე კიდევ გაიმეორა. ამით დაგვარგეთ ყველაფერი. ეუთოს დასკვნა თავისი სამართლებრივი პოზიციებით, გაცილებით უფრო მძიმე და სერიოზული დოკუმენტია, ვიდრე ევროკავშირის ექსპერტთა დასკვნა. ეს ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ მხოლოდ ციტირებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში შევითანთ სარჩელს სასამართლოში. ჰააგაში უკვე შეტანილია სარჩელი ეთნიკური წმენდის შესახებ. ამ დოკუმენტის გამოყენება ორივე მხარეს შეუძლია.

თემურ გოგიტიძე, თადარიგის პოლკოვნიკი – იმ შესვედრაზე, რომელიც დისკუსიის დასაწყისში გაიხსენა ბატონმა გოგიმ, ბატონ თემურს მე მივმართე შეკითხვით, რა ჰქვია იმ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც თქვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დგას სამშვიდობო სტატუსით და სამშვიდობო ფუნქციას არ ასრულებს. თქვენ მაშინ თავი აარიდეთ ამ შეკითხვას. ახლაც, თქვენი ნებაა, მიპასუხებთ თუ არა.

ასევე მაინტერესებს, ტალიანის დასკვნის შემდეგ ხელისუფლებამ რა დასკვნა გააკეთა.

თემურ იაკობაშვილი – ორივე კითხვაზე შემიძლია ძალიან კონკრეტული პასუხის გაცემა. იმ ჯარებს, რომლებზეც მკითხეთ, ჰქვია საოკუპაციო ჯარები, თუ რატომ ვიყავი მაშინ ჩუმად, ამას თავისი მიზეზი ჰქონდა და ამაზეც შემიძლია მოგახსენოთ. მიზეზი ის გახლდათ, რომ როდესაც გამოვდიოდი ინიციტივით და ბევრი ადამიანი მიჭერდა მხარს მთავრობაში, რომ მოგვეხსნა რუსი სამხედროებისთვის აფხაზეთში სამშვიდობოების სტატუსი, ამერიკიდანაც და ევროპიდანაც გვირჩიეს, არ გადაგვედგა ეს ნაბიჯი. თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს მაინც უნდა გავგვეკეთებინა.

რაც შეეხება დასკვნას, მთავრობამ დასკვნაზე დასკვნა არ უნდა გამოიტანოს. მთავრობამ დადო თავისი დასკვნა, ჩემმა უწყებამ მოამზადა ეს დასკვნა და შეგიძლიათ მას ჩვენს ვებგვერდზე გაცნოთ ქართულ და ინგლისურ ენაზე, ასევე ვთარგმნეთ რუსულადაც, რადგან ინტერესი ძალიან დიდი იყო და უახლოეს ხანებში განვითავებთ რუსულ ვარიანტსაც.

არსენ ოგანჯანიანი – საინტერესოა, იმ ადამიანებმა, ვიზეც ბრძანეთ, რომ არ უნდა ყოფილიყო ამ კომისიაში, გარდა იმისა, რომ წინასწარ ჰქონდათ დაფიქსირებული საკუთარი პოზიცია, კიდევ რით დაიმსახურეს თქვენი უნდობლობა. და სულ რამდენი წევრი იყო ასეთი კომისიაში?

ასევე მაინტერესებს, სოჭის ხელშეკრულებაში, რომელიც რუსეთმა დაარღვია, ალბათ მითითებულია, როგორ უნდა მოიქცეს მეორე მხარე საპირისპირო მხარის მიერ მისი დარღვევის შემთხვევაში.

ბატონმა პაატამ ასევე ბრძანა, რომ სმს-ებით ჰქონდა მიმოწერა, რას გწერდნენ მნიშვნელოვანს, ისეთს, რაც ჩვენ არ გაგვივია მედიის საშუალებებით.

თემურ იაკობაშვილი – ასეთი სამი ადამიანი იყო. რაც შეეხება სოჭის ხელშეკრულებას, მასში არ ყოფილა ჩადებული გაუქმების იურიდიული მექანიზმები. თუ მაგალითად, აფხაზეთთან მიმართებაში ჩვენ გვქონდა საშუალება, სამშვიდობო ოპერაცია გამოგვეცხადებინა დასრულებულად, სოჭის ხელშეკრულებაში ასეთი მექანიზმი აღარ ყოფილა. ამიტომ როცა ვადარებთ მაშინდელ და ახლანდელ სიტუაციას, უნდა გითხრათ, რომ ჩვენ კაბალური ხელშეკრულების პირობებში გვიწევდა მუშაობა. თუმცა შევარდნაძემ არსებული მდგომარეობის შესაბამისად მოაწერა ხელი იმ ხელშეკრულებას. ეს გადაწყვეტილება სწორი იყო თუ არა, ამას ისტორია შეაფასებს. სოჭის ხელშეკრულება ისე იყო შედგენილი, იქიდან ვერ გამოხვიდოდა. ჩვენს ვებგვერდზე დევს ეს ხელშეკრულებები და შეგიძლიათ გაეცნოთ მათ.

პაატა ზაქარაიშვილი – არსებობს ვენის კონვენცია, რომლის მიხედვითაც შეიძლება ასეთი ხელშეკრულებიდან გამოსვლა, არსებობს სპეციალური პროცედურა, სადაც საერთაშორისო სამართლის ნორმებით შესაძლებელი ხდება ჩიხიდან გამოსვლა. ეს საკითხი შეიძლება დასმულიყო და ალბათ გადაწყდებოდა. ასეა თუ ისე, მე არ ვფიქრობ, რომ ეს უნდა გავკვეთებინა, იმიტომ რომ სოჭის ხელშეკრულება მაქსიმალურად უნდა გამოგვეყენებინა.

სმს-ები ძალიან შემოფოთებული შინაარსის იყო, 7 აგვისტოს დილიდან იგრძნობოდა ომის დაწყება. ეს თბილისში არ იგრძნობოდა, მაგრამ ცხინვალში ამას გრძნობდნენ. როდესაც პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ მათ ვაცნობე, რომ ომი არავითარ შემთხვევაში არ დაიწყებოდა, იქიდან მაღლობის პასუხები მივიღე. თუმცა, მოგვიანებით, ღამის თორმეტის ნახევრისთვის, სიტუაცია ერთბაშად დაიძაბა.

ლელა გაფრინდაშვილი – პირველად ცხინვალში შესვლის მცდელობა 2004 წლის ზაფხულში იყო. მაშინ თექვსმეტი ადამიანი დაიღუპა, მოხდა ქართველი მოსახლეობის ევაკუაცია იმ ტერიტორიიდან, მაგრამ მაშინდელ ოპერაციას არ მოჰყოლია ფართომასშტაბიანი ოპერაცია. რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში განსხვავებული, ისეთი, რამაც ფართომასშტაბიანი ოპერაცია გამოიწვია?

თემურ იაკობაშვილი – რუსეთმა გადაწყვიტა შეეტია საქართველოსთვის. როდესაც ქვეყანას უტევენ საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო და სარაკეტო ძალებით, ამის გარდა ხორციელდება მასიური კიბერშეტევა ქართულ ვებრესურსებზე, არამართო სამთავრობოზე, და გაჩაღებულია საინფორმაციო ომი, სამხედრო ექსპერტებმა თქვან, შესაძლებელია თუ არა რაიმეს გაკეთება საპასუხოდ. თუ ამას სჭირდება სერიოზული მომზადება, გაწვრთნა, თანხის გამოყოფა, კოორდინაცია. პასუხი მარტივია, პუტინმა მიიღო გადაწყვეტილება, აგვისტოში შემოეტია საქართველოსთვის.

რუსუდან მირზიკაშვილი, არქიტექტორი – იმედი მაქვს, სახელმწიფოს აქვს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების დროში გაწერილი პროგრამა. ამ დასკვნას, წესით, დიდი როლი უნდა ეთამაშა სახელმწიფო სტრატეგიაში. სად შეიძლება ამ პროგრამის ნახვა.

თორნიკე შარაშენიძე – ვუპასუხებ შეკითხვას, თუ რატომ არ გადაიზარდა 2004 წლის კონფლიქტი ომში და რატომ მოხდა ეს შარშან. სიტუაცია მაშინ არ იყო ომისთვის მომწიფებული. 2004 წელს არ ყოფილა ისეთი დაძაბული სიტუაცია საქართველო-რუსეთს შორის. მაშინ პუტინს ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ საქართველოს მთავრობა რუსეთისთვის მისარებ საგარეო პოლიტიკურ კურსს გაატარებდა. 2008 წლისთვის ეს ილუზიები გაქრა.

პაატა ზაქარაიშვილი – მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია, რა მოხდა იქ 2004 წელს და რა მოხდა შარშან. ამისთვის სამ წინადადებას წავიკითხავ სააკაშვილის 2008 წლის დეკემბრის გამოსვლიდან. პრეზიდენტმა ამ სიტყვებით 22 დეკემბერს დევნილებს მიმართა. პირველი ციტატა: „ცხინვალის რეჟიმი მოყვანულადაა, როგორც ამოსაღები კბილი. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის მართლა კვირების, ან თვეების საკითხი. ამაში აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული. ამაზე ზუსტი ინფორმაცია მაქვს.“

მეორე ციტატა: „უახლოეს მომავალში, ვგულისხმობ უახლოეს თვეებს, მე არ ვამბობ უახლოეს წლებს, ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად შევქმნით პირობებს თქვენი ღირსეული დაბრუნებისათვის აფხაზეთში.“

მესამე ციტატა: „ამრიგად, საუბარია მართლაც ძალიან მოკლე პერიოდზე. რუსეთსაც წამოსცდა რამდენჯერმე, რომ სამხრეთ ოსეთი მას არ აინტერესებს.“

ვეკითხები ბატონ სააკაშვილს, სად რა წამოსცდა რუსეთს. ამკარად ჩათრეული იყო საქართველო პროვოკაციაში. რუსეთი ამაზე დიდხანს მუშაობდა. ეს არის პასუხი კითხვაზე, რატომ არ გადაიზარდა 2004 წელს კონფლიქტი ომში და რატომ მოხდა ეს 2008 წელს. რუსები მიხვდნენ, რომ ქართველების ანკესზე წამოგება ძალიან ადვილი იყო და წამოგვაგეს კიდევ. 2006 წელს, ნიუ-იორკში, გაეროს ოფისში ერთმა ქართველმა დიპლომატმა, რომელიც იქ მუშაობს, 2006 წლის 26 მაისს, მკაფიოდ თქვა, რომ ცხინვალის გამო რუსეთი ომს არ დაგვიწყებდა. ძალიან შემაშფოთა ამ სიტყვებმა და შევეკამათე კიდევ მას და ვუთხარი, რომ ეს ძალიან საშიში პოზიცია იყო.

რაც შეეხება აღიარების საფრთხეს. რა თქმა უნდა, დოკუმენტი პოლიტიკურია და იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც სურს აფხაზეთი ან სამხრეთ ოსეთი, ისინი დაეყრდნობიან ამ დოკუმენტს და უფრო იოლად გაიმართლებენ თავს, თუ რატომ მიდიან აღიარებაზე. მაგრამ თვალსაზრისით, აღიარებაში არ არის ტრაგედია. შესაძლოა, კიდევ აღიაროს რამდენიმე სახელმწიფომ. ყველაზე ცუდია, რომ აღიარა რუსეთმა, უშიშროების საბჭოს წევრმა, და ცუდი იქნება, თუ აღიარებს ბელორუსია, იმიტომ რომ ბელორუსია არის რუსეთ-ბელორუსიის სამოკავშირო სახელმწიფოს წევრი და შესაბამისად, არის საფრთხე, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი შეიყვანონ ამ კავშირში და უფრო მეტად ჩართონ თავიანთ პოლიტიკაში. დანარჩენი ქვეყნები, ჩვენი მეგობარი ქვეყნები, დარწმუნებული ვარ, არ აღიარებენ. შესაძლოა, აღიარონ ლარიბმა ქვეყნებმა, და შემდეგ რუსეთისგან სანაცვლოდ კრედიტები ან იარაღი მიიღონ. მთავარი პრობლემა ის არის, რა იქნება ათი წლის შემდეგ. აფხაზეთი, რომელიც შავ ზღვაზე გადის, შეიძლება გახდეს შავი ხვრელი შავ ზღვაზე, რუსეთის შავი საიდუმლო ოთახი და ის გამუდმებით იქნება პრობლემა ევროკავშირისთვის. ათი წლის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, სულ სხვა პერსპექტივები იქნება თურქეთსა და ევროკავშირს შორის, ამიტომ მთელი შავი ზღვა იქნება ევროკავშირის ინტერესებში, უკრაინაც, საქართველოც. აფხაზეთი კი ამ ფონზე უცნაური წარმონაქმნი იქნება. მაშინ შეიძლება დაისვას საკითხი, რა უყონ მას და შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ აღიარონ. ახლა ამის საფრთხე არ არსებობს, მაგრამ თუ ნაბიჯები არ გადავდგით, ათი წლის შემდეგ ძალიან მძიმე შედეგებს მივიღებთ. გმადლობთ.

თემურ იაკობაშვილი – რაც ბატონმა პაატამ თქვა, ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა გითხრათ, რომ რუსეთს არასოდეს არ სურდა ცხინვალის დაკავება. ომი არ ყოფილა

ცხინვალისთვის, ომი მთელი საქართველოსთვის იყო. მეტსაც გეტყვით, ომი არ უნდა დაწყებულიყო ცხინვალში, ომი უნდა დაწყებულიყო აფხაზეთში, კერძოდ, კოდორის ხეობაში, მაგრამ ბლაფშმა ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ომი არ დაწყებულიყო აფხაზეთის მიმართულებით და აარიდა ამას თავი. ძალიან მარტივი გეგმა იყო, სეპარატისტებს უნდა შეეტიათ. ამას უპასუხებდნენ ქართველები და შემდეგ ჩაერეოდნენ რუსები. ბლაფშმა თავი აარიდა ამ ყველაფერს და ამიტომ მოხდა ამ გეგმის გადათამაშება ცხინვალში.

აღიარების საკითხშიც ვეთანხმები ბატონ პაატას. არც ერთი სერიოზული ქვეყანა არ აღიარებს აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვცდილობთ, რომ არც სხვა ქვეყნებმა აღიარონ. იმიტომ რომ ამ ყველაფრის უკან დაბრუნება არ არის ხოლმე ადვილი. ეკვადორი შეიძლება უმნიშვნელო ქვეყანა იყოს ჩვენთვის, მაგრამ ჯობია, რომ არც მან აღიაროს. ზუსტად იმის გამო, რომ აფხაზეთი შავ ზღვაზე შავი ხვრელია, უკვე ფიქრობს ევროკავშირი, რა ქნას. და აფხაზეთის აღიარება არ არის გამოსავალი, პირიქით, ეს უფრო სერიოზული პრობლემაა. ამაზე ვმუშაობთ.

კითხვა დაისვა პროგრამასთან დაკავშირებით. ძალიან სერიოზულ პროგრამაზე ვმუშაობთ, ლაპარაკია დეტალურ ხედვაზე, რომელიც ალბათ თვის ბოლომდე მომზადდება და შემდეგ შეძლებთ, რომ ჩვენი ვებგვერდის საშუალებით გაეცნოთ. მომავალი წლის პირველ ნახევარში კი შევიმუშავებთ სამოქმედო გეგმას. ახლავე მინდა გითხრათ, რომ დიდი წილი იმ ნაბიჯებისა, რაც უნდა გადაიდგას, არასამთავრობო ორგანიზაციებზეც გადავა გასაგები მიზეზების გამო, რაც, მიმაჩნია, რომ სწორიც არის. იქნება ძალიან დეტალური საჯარო გეგმა, შეძლებთ ყველანი გაეცნოთ და მიიღოთ მონაწილეობა.